

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრის
ბრძანება N 326/ნ
2009 წლის 13 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე,
ფალსიფიცირებული, წუნდებული, გაუვარგისებული,
ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტის
ამოღების/განადგურების წესების დამტკიცების შესახებ

“წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “დ” ქვეპუნქტისა და მე-17¹ მუხლის საფუძველზე ვბრძანებ :

1. დამტკიცდეს:

ა) საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე, ფალსიფიცირებული, წუნდებული, გაუვარგისებული, ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტის ამოღების წესი (დანართი N1);

ბ) საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე, ფალსიფიცირებული, წუნდებული, გაუვარგისებული, ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტის განადგურების წესი (დანართი N2).

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს “სახელმწიფო შესყიდვით შეძენილი და ჰუმანიტარული დახმარების გზით მიღებული ვადაგადასული და გაუვარგისებული სამკურნალო საშუალებების ჩამოწერა-განადგურების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 20 აპრილის N168/ნ ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2009 წლის 15 ოქტომბრიდან.

ა. კვიციანი

დანართი N1

საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე, ფალსიფიცირებული,
წუნდებული, გაუვარგისებული, ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტის
ამოღების წესი

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე, ფალსიფიცირებული, წუნდებული, გაუვარგისებული ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტის ამოღების საკითხებს.

2. საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე, ფალსიფიცირებული,

წუნდებული, გაუვარგისებული ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტის ამოღებას (ჩამორთმევას) უზრუნველყოფს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

3. საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონლის ამოღების (ჩამორთმევის) შემთხვევაში ჩამორთმეული საქონელი დაექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განადგურებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ამოღებული (ჩამორთმეული), ფარმაცევტული პროდუქტი ილუქება და დგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც მიეთითება: ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება (დოზა, ფორმა, რაოდენობა შეფუთვაში) სერია, ვადა, მწარმოებელი ქვეყანა და კომპანია, რაოდენობა, ფარმაცევტული პროდუქტის მესაკუთრე, ჩამორთმევის თარიღი და მიზეზი, სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლ(ებ)ის სახელი, გვარი და თანამდებობა. შედგენილი ოქმი მოწმდება სააგენტოს თანამშრომლ(ებ)ის და ფარმაცევტული პროდუქტის მესაკუთრის ხელმოწერებით.

5. ჩამორთმეული ფარმაცევტული პროდუქტი დალუქულ მდგომარეობაში ინახება სააგენტოში, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, მის განადგურებამდე.

დანართი N2

საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე, ფალსიფიცირებული, წუნდებული, გაუვარგისებული, ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტის განადგურების წესი

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე, ფალსიფიცირებული, წუნდებული, გაუვარგისებული, ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტის (გარდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და მასთან გათანაბრებული ფარმაცევტული პროდუქტისა) განადგურების საკითხებს. *(8.07.2014 N01-47/6 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს)*

2. ამ წესის მიზანია უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქტების უსაფრთხო განადგურება, გარემოს დაცვის ნორმატიულ და ტექნიკურ მოთხოვნათა სავალდებულო დაცვით.

3. ამოღებული (ჩამორთმეული) ფარმაცევტული პროდუქტი ექვემდებარება განადგურებას პროდუქტის მესაკუთრის ხარჯით. ამ შემთხვევაში განადგურების პროცესს უნდა ესწრებოდეს სააგენტოს წარმომადგენელი.

4. თუ გასანადგურებელი ფარმაცევტული პროდუქტი ნადგურდება სააგენტოს მიერ ამოღების (ჩამორთმევის) გარეშე, იგი ხორციელდება მესაკუთრის ხარჯით, ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად. მესაკუთრეს უფლებამოსილია მოიწვიოს განადგურების პროცესში სხვა დაინტერესებული მხარეები.

5. გასანადგურებელი ფარმაცევტული პროდუქტი ექვემდებარება კლასიფიკაციას, აღნუსხვა, შენახვა-იზოლირებას.

6. განადგურების დროს დგება განადგურების აქტი თანდართული ფორმით (ფორმა N1).

7. განადგურების აქტს ხელს აწერს ყველა დამსწრე პირი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მონაცემების სისწორეზე.

8. აქტი დგება იმდენ ეგზემპლარად რამდენი პირიც ესწრება განადგურების პროცესს.

9. სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებებში სახელმწიფო შესყიდვით შეძენილი და ჰუმანიტარული დახმარების გზით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაწილეობით მიღებული სამკურნალო საშუალებების ვადის გასვლისა და გაუვარგისების შემთხვევაში, მათი ჩამოწერისა და განადგურების დროს, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული აქტის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება სააგენტოს.

მუხლი 2. საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე, ფალსიფიცირებული, წუნდებული, გაუვარგისებული ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტის განადგურების თავისებურებები

1. საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე, ფალსიფიცირებული, წუნდებული, გაუვარგისებული, ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტი ეპიდემიოლოგიური, ტოქსიკოლოგიური და რადიაციული საშიშროების ხარისხის შესაბამისად განადგურების მეთოდების თავისებურებიდან გამომდინარე, ექვემდებარება დახარისხებას (აგრეგატული მდგომარეობა, კონტროლს დაქვემდებარებული სუბსტანცია, წამლის სხვადასხვა ფორმები და ა.შ) ტოქსიკოლოგიური ჯგუფებისადმი კუთვნილებისა და საშიშროების კლასებისადმი კუთვნილების მიხედვით.

2. ფარმაცევტული პროდუქტის განადგურება ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე პირის მიერ, რომელიც ეწევა “გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას.

ფორმა N1

საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე, ფალსიფიცირებული, ვადაგასული, წუნდებული, გაუვარგისებული ფარმაცევტული პროდუქტის განადგურების

აქტი N

განადგურების ადგილი და თარიღი: _____

ჩვენ, (დამსწრეთა სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა) -----

შემადგენლობით

განვახორციელეთ ფარმაცევტული პროდუქტის განადგურება, სახეზე აღმოჩნდა:

N	ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება (დოზა, ფორმა, რაოდენობა შეფუთვაში)	ზომის ერთეული	რაოდენობა	ღირებულება			
				შესასყიდი ფასი		გასაყიდი ფასი	
				ერთეულის ფასი	ჯამი	ერთეულის ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6	7	8
				სულ		სულ	

(გაგრძელება)

სერია	ვარგისიანობის ვადა	პროდუქტის მიღების თარიღი, დოკუმენტის N	მწარმოებელი, მომწოდებელი	ფარმაცევტული პროდუქტის მესაკუთრე, ვისგანაც მოხდა ამოღება	განადგურების საფუძველი	განადგურების მიზეზი (ვადის გასვლა, სახელმწიფო რეესტრიდან ამოღება, გაუვარგისება, მტვერვა...)	განადგურების მეთოდი
9	10	11	12	13	14	15	16

აღნიშვნები ჩამოწერილი ფასეულობების განადგურების შესახებ ----- (დაჩეჩქვით, დამტვრევით, გაუვნებლობით, დაწვევით, კანალიზაციაში გადაღვრით, ნაგავში გადაყრით)

დამსწრეების ხელმოწერები:

200 წლის "-----" "-----"